EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

Geo: დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის (www.supremecourt.ge) მიერ. თარგმანის ხელახალი გამოქვეყნების ნებართვა გაცემულია მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს HUDOC-ის მონაცემთა ბაზაში განთავსების მიზნით.

Eng: The document was provided by the Supreme Court of Georgia, Human Rights Centre of the Analytical Department (www.supremecourt.ge). Permission to re-publish this translation has been granted for the sole purpose of its inclusion in the European Court of Human Rights' database HUDOC.

სტრაისტა მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ

STRAISTĂ v. THE REPUBLIC OF MOLDOVA

(საჩივარი *no. 14191/14*)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2022 წლის 15 მარტი

გადაწყვეტილება საბოლოოა თუმცა შესაძლებელია დაექვემდებაროს სარედაქციო გადასინჯვას.

საქმის შინაარსი

1. საქმე ეხება ხელისუფლების პოზიტიური ვალდებულების სავარაუდო შეუსრულებლობას, დაეცვა მომჩივანი მისი პირადი ცხოვრების უფლების

განგრძობადი დარღვევისგან და ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება მის საჩივრებზე.

2. 2012 წელს მომჩივნის სახელზე შეიქმნა ფეისბუქის ყალბი პროფილი, მისი რეალური ფოტოების გამოყენებით და სხვა ფოტოების დამატებით, რომლებზეც გამოსახულია საზაფხულო კაბაში ჩაცმული ქალი პროვოკაციულ პოზებში, რომელსაც სახე დამალული აქვს. ქვემოთ მოცემულ ტექსტში კი მითითებული იყო, რომ იგი სთავაზობდა სექსუალურ მომსახურებას. ასევე, მოცემული იყო მომჩივნის რეალური ტელეფონის ნომერი. საერთო ჯამში, 2012-2013 წლებში ფეისბუქზე 50-ზე მეტი ასეთი ანგარიში შეიქმნა, მსგავსი ანგარიშები შეიქმნა სხვა სოციალურ მედიაშიც. მომჩივნის მიერ მრავალი საჩივრის შეტანის შემდგომ ხელისუფლებამ დაიწყო ადმინისტრაციული სამართალწარმოება, რომელიც 2014 წლის მარტში შეწყდა, კანონით გაწერილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; ამის შესახებ მომჩივანს მხოლოდ 2015 წლის იანვარში ეცნობა. IP მისამართი საიდანაც ანგარიშები შეიქმნა (მომჩივანმა მოიპოვა ფესიბუქიდან) სავარაუდოდ არ იყო შემოწმებული ხელისუფლების მიერ. ფეისბუქის მსგავსი პროფილები იქმნებოდა 2015 წლამდე; ყოველ ჯერზე მომჩივანი ასაჩივრებდა ფაქტს.
3. მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევაზე, რადგან ხელისუფლებამ ვერ შეძლო მისი უფლებების შემდგომი დარღვევის თავიდან აცილება ეფექტური გამოძიების ჩატარებით და დამნაშავე(ებ)ის გამოვლენით.
4. იგი ასევე დავობდა კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე, რომ მას არ გააჩნდა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება მე-8 მუხლის საფუძველზე თავის საჩივართან მიმართებით.

სასამართლოს შეფასება

I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

II.

5. მომჩივანი დავობდა, რომ ხელისუფლებამ ვერ აღკვეთა მისი განგრძობადი დამცირება ეფექტური გამოძიების არ ჩატარებითა და დამნაშავე(ებ)ის გამოვლენით.
6. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ხელისუფლებამ მიიღო ყველა გონივრული ზომა და სრულად გამოიძია მისი ყველა საჩივარი.
7. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) პუნქტის მნიშვნელობით ან

დაუშვებელია რაიმე სხვა საფუძვლით. ამიტომ ის დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

8. ზოგადი პრინციპები რომლებიც ეხებიან ხელისუფლების პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყონ პირადი ცხოვრების პატივისცემა ინდივიდთა შორის ურთიერთობის სფეროში, შეჯამებულია საქმეში *K.U. v. Finland* (no. 2872/02, §§ 41-50, ECHR 2008). დამატებითი ზოგადი პრინციპები ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულების შესახებ შეჯამებულია საქმეში *Khadija Ismayilova v. Azerbaijan* (nos. 65286/13 და 57270/14, § 115 *et seq.*, 10 იანვარი 2019).
9. 2014 წლის მარტში გამოძიება შეწყდა კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. თუმცა, მომჩივანს ხშირად შეჰქონდა საჩივრები მის სახელზე შექმნილ ახალ დამამცირებელ ანგარიშებთან დაკავშირებით, მათ შორის 2014 წლის მარტის შემდეგ. მაშასადამე, კანონით გაწერილი ვადა ვერ იქნებოდა გამოძიების შეწყვეტის საფუძვლიანი მიზეზი, რადგან მომჩივნის პირად ცხოვრებაზე რეგულარულად განხორციელებული ახალი თავდასხმები იდენტური იყო წინის და, შესაბამისად, წარმოადგენდა მისი უფლებების განგრძობადი დარღვევის ნაწილს. უფრო მეტიც, მთავრობამ არ წარმოადგინა მტკიცებულება რაიმე კონკრეტული გატარებული ღონისძიების შესახებ, განსაკუთრებით იმის შესახებ, რომ მოითხოვა ადგილობრივი ინტერნეტის ოპერატორებისგან მომჩივნის მიერ წარმოდგენილი IP მისამართის მომხმარებელი პირის ვინაობა. არ მოხდა ასევე მისი ინფორმირება და უწევდა საჩივრების შეტანა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების გასარკვევად.
10. ზემოაღნიშნულისა და იმ მნიშვნელოვანი ხარვეზების გათვალისწინებით, თუ როგორ გამოიძია ეს საქმე ხელისუფლებამ, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყო მომჩივნის პირადი ცხოვრების ადეკვატური დაცვა მის პირად ცხოვრებაში ძალიან სერიოზულ ჩარევაზე ეფექტური სისხლის სამართლის გამოძიების ჩატარებით.
11. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

საჩივარი კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე

12. მომჩივანი ასევე დავობდა კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე, რომ ვერ ისარგებლა ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებით მე-8 მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივრის შესაბამისად. საქმის ფაქტების, მხარეთა

არგუმენტებისა და მისი ზემოაღნიშნული დასკვნების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მან განიხილა წინამდებარე საჩივარში დასმული ძირითადი სამართლებრივი საკითხები. ამრიგად, იგი მიიჩნევს, რომ მომჩივნის დარჩენილი საჩივარი დასაშვებია, მაგრამ არ არის საჭირო მისი ცალკე გადაწყვეტის საჭიროება (იხ. *Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania* [GC], no. 47848/08, § 156, ECHR 2014).

კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

13. მომჩივანმა მოითხოვა 10,000 ევრო (EUR) მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და 1,200 ევრო სასამართლოს წინაშე გაწეული ხარჯებისა და დანახარჯებისთვის.
14. მთავრობა დავობდა, რომ მოთხოვნილი თანხა დაუსაბუთებელი იყო.
15. სასამართლო ანიჭებს მომჩივანს 5000 ევროს მორალური ასანაზღაურებლად და დამატებით კომპენსაციას ნებისმიერი გადასახადისთვის რომელიც შეიძლება დაეკისროს მას.
16. მის ხელთ არსებული დოკუმენტების გათვალისწინებით, სასამართლო მიზანშეწონილად თვლის 1,200 ევროს ანაზღაურებას ყველა სახის ხარჯზე და დამატებით კომპენსაციას ნებისმიერი გადასახადისთვის რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს.

ამ მიზეზეთა გამო, სასამართლო ერთხმად,

1. *დასაშვებად* ცნობს საჩივარს;
2. *ადგენს,* რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი;
3. *ადგენს*, რომ არ არის საჭირო საჩივრის განხილვა კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე;
4. *ადგენს*

   (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მომჩივანს სამი თვის განმავლობაში ქვემოთ ჩამოთვლილი თანხები, რომლებიც უნდა კონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში გადახდის თარიღისთვის მოქმედი კურსით:

   (i) 5000 ევრო (ხუთი ათასი ევრო), დამატებით ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება მორალური ზიანის გადასახადი დაიბეგროს;

(ii) 1200 ევრო (ათას ორასი ევრო), დამატებით ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს, ხარჯებისა და დანახარჯებისთვის გადასახდელ თანხასთან მიმართებით;

(ბ) რომ ზემოაღნიშნული სამი თვის გასვლიდან ანგარიშსწორებამდე ზემოაღნიშნულ თანხებზე გადასახდელი იქნება მარტივი საპროცენტო განაკვეთი ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული საკრედიტო განაკვეთის ტოლი დეფოლტის პერიოდში, პლუს სამი პროცენტული პუნქტი.

5. არ აკმაყოფილებს მომჩივნის დარჩენილ მოთხოვნას სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.